



შპს ენსოლი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ს ა რ ზ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ახსნა-განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაზე	
1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	7
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
მოშუადების საფუძვლები	7
შეფასებები და განსჯების გამოყენება	7
2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3.1 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები	8
3.2 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	8
3.3 მარაგები	8
3.3A დაუსრულებელ პროექტებზე გაწეული ხარჯი	8
3.4 გადასახადები	9
3.5 ძირითადი საშუალებები	9
3.6 ძირითადი საშუალებების ცვეთა	9
3.7 საინვესტიციო ქონება	9
3.8 იჯარა და იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	9
3.9 აქტივების გაუმჯობესება	9
3.10 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები	10
3.11 კაპიტალი	10
3.12 შემოსავლების და ხარჯების აღიარება	10
4. ახსნა-განმარტებები	10
4.1 გაცემული სესხები	10
4.2 მარაგები	11
4.3 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11
4.4 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	11
4.5 ძირითადი საშუალებები	11
4.6 ფინანსური ინსტრუმენტები	11
4.6.1 ფული და ფულის ექვივალენტი	11
4.6.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები/ვალდებულებები	12
4.6.3 მიღებული სესხები	12
4.7 ფინანსური რისკების მართვა	12
4.8 ამონაგები	14
4.9 ამონაგების თვითღირებულება	14
4.10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
4.11 იჯარა	14
4.12 სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	15
4.13 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	15
5. ანგარიშგების შედგენის შემდგომი მოვლენები	15

შპს ენსოლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
ლარი

ფინანსური წელი I იანვარი - 31 დეკემბერი

	შენიშვნა	წლის დასაწყისიდან 2018	წლის დასაწყისიდან 2019
შემოსავალი	4.10	9,765,212	5,657,008
გაყიდვის თვითღირებულება	4.11	(9,051,423)	(5,423,124)
საერთო მოგება		<u>713,789</u>	<u>233,884</u>
სხვა შემოსავლები		17,059	655
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4.12	(388,188)	(393,549)
გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯები		(11,886)	(7,301)
სხვა ხარჯები		(209,667)	(26,782)
სულ საოპერაციო მოგება Σ		<u>121,107</u>	<u>(193,092)</u>
საპროცენტო შემოსავალი		5,658	74
საპროცენტო ხარჯი		(78,587)	(114,181)
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება ზარალი		(81,717)	(35,895)
მოგება დაბეგვრამდე Σ		<u>(33,540)</u>	<u>(343,094)</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		(912)	
წლის მოგება Σ		(34,452)	(343,094)
სულ წლის სხვა სრული შემოსავლები Σ			
სულ წლის სრული შემოსავალი Σ		(34,452)	(343,094)
მფლობელების წილი სრულ შემოსავლებში		(34,452)	(343,094)
არამაკონტროლებელი წილის მოგება/ზარალი			

მ.შ. არამაკონტროლებელი წილი პერიოდის ზარაში

დირექტორი

ბუღალტერი

2019 საანგარიშგებო წელი

კატეგორია	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვები	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
პერიოდის საწყისი ნაშთი წლის სრული შემოსავალი - დოვიდენდები			80,000		(55,161)	24,839	-	24,839
გამოგზადებული დოვიდენდი მიღებული დოვიდენდები					(343,094)	(343,094)	289	(342,804)
საწესდებო კაპიტალის ზრდა					-	-	-	-
შვილობილებში წილის რეალიზაცია კონტროლის დაკარგვის გარეშე					-	-	-	-
ბალანსი პერიოდის ბოლოს			80,000		(398,255)	(318,255)	-	(317,966)


2018 საანგარიშგებო წელი

კატეგორია	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვები	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
პერიოდის საწყისი ნაშთი წლის სრული შემოსავალი - დოვიდენდები			80,000		(20,709.40)	59,291	-	59,291
გამოგზადებული დოვიდენდი მიღებული დოვიდენდები					(34,452)	(34,452)	-	(34,452)
საწესდებო კაპიტალის ზრდა					-	-	-	-
შვილობილებში წილის შეტანა					-	-	-	-
ბალანსი პერიოდის ბოლოს			80,000		(55,162)	24,838	-	24,838

ბუღალტერი



დირექტორი



შენიშვნა წლის დასაწყისიდან წლის დასაწყისიდან
2018 2019

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

მოგება დაბეგრამდე	-34,452	-343,094
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	30,654	26,721
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მოგება/ზარალი		-33,038
საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება/ზარალი	81,717	35,895
საპროცენტო შემოსავალი	-5,658	-74
საპროცენტო ხარჯი	108,635	125,825

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე

180,897 -187,765

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	-716,082	773,800
მომწოდებელზე გადახდილი ავანსების ცვლილება	123,823	129,521
მარაგების ცვლილება	-791,559	1,028,769
საგადასახადო აქტივის ცვლილება	-107,447	133,114
სხვა მიმდინარე აქტივების ცვლილება	-2,185.00	-2,355
შეკავშირე საწარმოებთან მოთხოვნა ვალდებულებების ცვლილება	48,632	-156,371
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	-64,396	-8,583
მიღებული ავანსების ცვლილება	450,047	-474,710
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება		139
სხვა ვალდებულებების ცვლილება	21,643	25,463
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1,037,500	1,448,789

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

-856,603 1,261,024

ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

გადახდილი პროცენტი	-77,536	-112,399
გაცემული სესხის ზრდა	21,683,551	
გაცემული სესხის შემცირება	-21,683,551	
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	0	
ძირითადი საშუალებების შეძენა	-16,403	-48,577
არამატერიალური აქტივების შეძენა		
მიღებული დივიდენდები		
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		

ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

-88,282 -160,903

ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან

საბანკო გარანტიების ხარჯი	-30,048	-11,645
სესხის აღება	2,642,970	1,297,180
სესხის დაფარვა	-1,562,420	-2,315,027
გადახდილი დივიდენდები		
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		
არამაკონტროლებელი წილის შეძენა/რეალიზაცია		

ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან

1,050,502 -1,029,492

სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი

-81,717 -35,895

ფულადი სახსრების ცვლილება

23,899 82,334

ფულადი სახსრების პერიოდის დასაწყისში

4.8.1 14,193 38,092

ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს

38,092 120,426

დირექტორი

ბუღალტერი

ახსნა-განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ენსოლი (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2007 წელს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გაზ. N17ა და ფაქტური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მინდელის ქ. N3

კომპანიის დირექტორები არიან: ერმილ სულაბე და არსენი ზორცვაძე

კომპანია წარმოადგენს ავტონომიური ელექტრო სისტემების იმპორტიორს (გენერატორები, UPS, მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორები და ა.შ.) რომელიც ახორციელებს ამ პროდუქტების ინსტალაციას და სერვისს.

კომპანიის მფლობელების წილობრივი მდგომარეობა შემდეგნაირად არის განაწილებული:

მფლობელი	2019 წელი	2018 წელი
შპს იუჯიტი ჯგუფი	75%	75%
არსენი ზორცვაძე	7.5%	7.5%
ლევან ზუზიაია	7.5%	7.5%
ერეკლე პარუნაშვილი	5%	5%
ირაკლი მიცევა	5%	5%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS ფასს).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილი ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს 1 ლარამდე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით ანუ პრინციპით, რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

შეფასებები და განსჯების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელშეშლადელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დამუშავებას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დამუშავებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში. მენეჯმენტის შეფასებებში მომხდარი ცვლილებები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ პერიოდში როდესაც ასეთი ცვლილებას ექნება ადგილი. ქვემოთ მოყვანილია ყველა მნიშვნელოვანი შეფასებები და დამუშავებები

1. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ცვეთადი გრძელვადიანი აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხდება მენეჯმენტის შეფასებების საფუძველზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში და რა მოცულობით აპირებს კომპანია ძირითადი საშუალებებიდან სარგებლობის მიღებას და რა იქნება შესაძლო სალოკვიდაკიო ღირებულება.

2. ქონების კლასიფიკაცია - ჯგუფი განსაზღვრავს ქონება კლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება, საინვესტიციო ქონება, თუ მარაგები. საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწასა და შენობა-ნაგებობებს (ძირითადად საოფისი და საცალო ვაჭრობის ობიექტებს), რომლებიც არსებითად არ არის დაკავებული კომპანიის მიერ ან კომპანიის საქმიანობისთვის და არც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გასაყიდად არის გამოიზნული. მათი ფლობის მთავარი მიზანია საიჯარო შემოსავლის მიღება, კაპიტალის ღირებულების გაზრდა ან სამომავლოდ ხელახლა განვითარება. ვიდრე გაირკვევა მათი ექსპლუატაციის ზუსტი დანიშნულება. მარაგებად კლასიფიცირებული ქონება მოიცავს ქონებას, რომლის ფლობის მიზანაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვაა.

3. გამოყენებული საგადასახადო ზარალისთვის საგადასახადო აქტივის აღიარება - საგადასახადო ზარალის შემთხვევაში აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სავარაუდოა, რომ იარსებებს სამომავლო დასაბეგრი მოგება რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება ზარალის გამოყენება.

4. ანარიცხების/რეზერვების აღიარება - კომპანიის მიერ გაცემულ გარანტიებზე რეზერვების აღიარება ხდება შესაბამისი პროდუქტის/სერვისის გაყიდვისთანავე. მომავალი საგარანტიო ხარჯებისათვის რეზერვების მოცულობა დგინდება პროდუქტის/სერვისის საგარანტიო შემთხვევების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით და პროდუქტის/სერვისის სპეციფიკის გათვალისწინებით. რეზერვის მოცულობა მცირდება საგარანტიო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში გაწეული ხარჯის ოდენობით

2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში. ამ სტანდარტების სავარაუდო გავლენა კომპანიაზე ამ ეტაპზე შეფასების პროცესშია. ეს სტანდარტებია:

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“:

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთ ეტაპთან ახალ მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ფასს 15-ის პრინციპები შემოსავლების შეფასებისა და აღიარების უფრო სისტემატურ მიდგომას გვთავაზობს. შემოსავლების ახალი სტანდარტი გრძელდება ყველა საწარმოზე და ჩანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული ან ნაწილობრივ შეცვლილი რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“:

2014 წლის ივლისში ბასს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 9-ის გავლენას მასზე

ფასს (IFRS) 16 „ოჯარა“:

2016 წლის იანვარში, ბასს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „ოჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფი ამჟამად აფასებს ფასს 16-ის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე

ბასს 7-ის შესწორებები: 2016 წლის იანვარში გამოცემულმა დოკუმენტმა - „ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში“ გამოიწვია ბასს 7-ის 44ა-44ე პუნქტების დამატება. ცვლილების მიხედვით საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები. მათ შორის ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია ფულადი ნაკადებით, ასევე ცვლილებები, რომლებიც განპირობებული არ არის ფულადი ნაკადებით. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

2016 წლის იანვარში, ბასს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „ოჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 22 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად :

ინტერპრეტაცია ეხება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს, როდესაც საწარმო ანაზღაურების ავანსად გადახდის. ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტებს ან არაფულად ვალდებულებას მანამდე აღიარებს, სანამ აღიარებს შესაბამის აქტებს, ხარჯს ან შემოსავალს. ბასს 21-ის „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ - 21-ე პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველად ასახოს სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ უნდა გამოიყენოს ოპერაციის თარიღისთვის სამუშაო ვალუტისა და ამ უცხოური ვალუტის გასაცემელი სპოტ სავალუტო კურსი. ინტერპრეტაციაში განხილულია, როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტების, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, უცხოური ვალუტით ანაზღაურების ავანსად გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტების ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას

წლის განმავლობაში სხვა შეცვლილ IFRS ფასს სტანდარტებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც მას ემსოლის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება არ ხდება, ისინი ანგარიშგებაში ასახულია ისტორიული ღირებულებით ანუ ტრანზაქციის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ის არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

კურსის ცვლილებით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშში როგორც "კურსთა შორის სხვაობების შედეგი"

ანგარიშგების თარიღისათვის უცხოური ვალუტების მიმართ მოქმედება შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბრის ლარის მიმართ მოქმედი კურსები	2.6766	3.0701
2019 წლის 31 დეკემბრის ლარის მიმართ მოქმედი კურსები	2.8677	3.2095

3.2 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივები არის არა წარმოებული ფინანსური აქტივი, გააჩნით ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტივის ფასი ბაზარზე კოტირებული არ არის. თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები. შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. იმ შემთხვევაში თუ ფულის ღირებულების ეფექტი არ არის არსებითი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები ან გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივების პირველადი აღიარება და აღიარების შეწყვეტა ხდება გარიგების თარიღით და მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები.

შემდგომი შეფასებისას სესხები და სავაჭრო სხვა მოთხოვნა/ვალდებულებები რომლებიც წარმოადგენენ არა წარმოებული ფინანსური აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით და რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, თავდაპირველი შეფასების შემდეგ, შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. იმ შემთხვევაში თუ ფულის ღირებულების ეფექტი არ არის არსებითი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნა/ვალდებულებები აღიარებულია მათი პირვანდელი ფაქტური ღირებულებით. თუ ფულის ღირებულების ეფექტი არსებითია მაშინ აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

გაუფასურების რეზერვის შექმნა ხდება მაშინ როდესაც არსებობს მაღალი ალბათობა და ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ მიახერხებს, კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში, მიიღოს სავაჭრო მოთხოვნებიდან შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა სრულად ან ნაწილობრივ. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ამოღებადი თანხის მიმდინარე ღირებულებას შორის. საანგარიშგებო პერიოდში გაუფასურების რეზერვის ცვლილება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ მოთხოვნების თანხის ჩამოწერა რომლებზეც შექმნილია გაუფასურების რეზერვი ხორციელდება რეზერვების ანგარიშზე, თუ რეზერვის შექმნა ინდივიდუალურ მოთხოვნაზე არ განხორციელებულა მაშინ ასეთი თანხის ჩამოწერა ხდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშში. წინა საანგარიშგებო პერიოდში ჩამოწერილი მოთხოვნების ანაზღაურების შემთხვევაში ანაზღაურებული თანხა ტარდება სხვა საოპერაციო შემოსავალში.

3.2A სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საქონლის ან მომსახურების მოწოდებით წარმოშობილ მოთხოვნებს რომლის გადახდის ვადაც ჯერ არ დამდგარა, თუ ანაზღაურების პერიოდი 1 წელზე მეტია მოთხოვნა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. 1 წელზე ნაკლები ვადის მქონე მოთხოვნები კლასიფიცირებულია მიმდინარე აქტივებად.

მუხლით მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ წარმოდგენილია დაკავშირებულ მხარეებთან ჩვეულებრივი სავაჭრო ურთიერთობის ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიწოდებით წარმოშობილი დებიტორული მოთხოვნები. დაკავშირებულ მხარეებთან დებიტორული მოთხოვნების დაფარვის ვადაა 1-2 თვე. საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან ერთი სრულდება: 1. ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე კომპანიის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათაო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათაო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული); 2. ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ კომპანიის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო); 3. ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე შესამე მხარის ერთობლივ საწარმო;

3.2B სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საქონლის ან მომსახურების მოწოდებით წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლის გადახდის ვადაც ჯერ არ დამდგარა, თუ ანაზღაურების პერიოდი 1 წელზე მეტია ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი. 1 წელზე ნაკლები ვადის მქონე ვალდებულები კლასიფიცირებულია მიმდინარედ.

მუხლით ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების მიმართ წარმოდგენილია დაკავშირებულ მხარეებთან ჩვეულებრივი სავაჭრო ურთიერთობის ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენით წარმოშობილი სავაჭრო ვალდებულებები. დაკავშირებულ მხარეებთან კრედიტორული ვალდებულებების დაფარვის ვადაა 1-2 თვე. საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან ერთი სრულდება: 1. ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე კომპანიის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათაო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათაო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული); 2. ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ კომპანიის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო); 3. ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე შესამე მხარის ერთობლივ საწარმო;

3.2C მოშლილობებზე გადახდილი ავანსები

მოშლილობებზე გადახდილი ავანსები წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საქონლის ან მომსახურების შესაძენად ავანსად გადახდილ თანხებს, რომლის საფუძველზეც საქონლის ან მომსახურების მოწოდება ჯერ არ განხორციელებულა. 1 წელზე ნაკლებ ვადაში მოსაწოდებელი საქონელი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივი. 1 წელზე მეტ ვადაში მოსაწოდებელ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივებად.

3.3 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს მარაგის შექმნაზე გადახდილ თანხებს, ადგილამდე მოტანის სატრანსპორტო და დაზღვევის დანახარჯებს აგრეთვე სხვა ხარჯებს რომელიც გაწეულია აქტივის გასაყიდ მდგომარეობამდე მოსაყვანად. სასაქონლო მარაგები აღირიცხება საშუალო შერეობილი ღირებულების მეთოდით.

3.3A დაუსრულებელ პროექტებზე გაწეული ხარჯი

დაუსრულებელ პროექტებზე გაწეული ხარჯები აღირიცხება შექმნის პროცესში არსებულ ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები აღნიშნული მოხდის რეკლასიფიკაცია ხდება ძირითადი საშუალების შესაბამის ჯგუფში შექმნის პროცესის დასრულების და ექსპლუატაციაში გადაცემის თარიღისათვის.

3.4 გადასახადები

მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები: წარმოადგენენ მოკლევადიან, 1 დან 3 თვემდე საგადასახადო ორგანიზაციის გადასახდელ ან დასაბრუნებელ/ჩასათვლელ თანხებს აღნიშნულ მუხლებში მოხვედრილია როგორც საგადასახადო ბარათზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რიცხვული დავალიანებები ასევე დარიცხვის მეთოდის შესაბამისად აღიარებული დღე, გადასახდელ ანაზღაურებზე გადახდისას დასაკავებელი საშუალებები, ქონების და სხვა გადასახადები.

მოგების გადასახადი: მოგების საგადასახადო მიმდინარე და გადავადებული აქტივი და ვალდებულება წარმოადგენს საგადასახადო ორგანიზაციისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშების თარიღისთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი დარჩა 15% თუმცა აღნიშნული განაკვეთით იზრდება კომპანიის 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში მიღებული მოგების ფიზიკურ პირებზე ან/და არარეზიდენტ დამფუძნებლებზე განაწილების მომენტში. აღნიშნული ცვლილების შედეგად მოგების გადასახადის გადამხდელი არის კომპანია რომლის დამფუძნებელიც არის ფიზიკური პირი ან არარეზიდენტ იურიდიული პირი. თუმცა აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსი გარკვეულ შემოსავლებზე და გარემოებებზე აწესებს შეღავათებს რომლის მიხედვითაც დივიდენდის გარკვეული ნაწილის განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით

კომპანიიში 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებისას გადახდილი მოგების გადასახადის ხარჯს აღიარებს იმ პერიოდის ვალდებულებად და ხარჯად როდესაც მოხდა ასეთი დივიდენდის გამოცხადება. მოგების ახალი საგადასახადო კანონმდებლობის თვისებებზე დასაყრდენად გამოიმდინარე ადგილი არ აქვს გადავადებული საგადასახადო აქტივის და ვალდებულების წარმოშობას.

2017 წლის 1 იანვრის შემდგომ მიღებული მოგებებზე პირობითი მოგების გადასახადის აღიარება ფინანსური ანგარიშგებაში არ ხდება. ამ პერიოდის მოგებაზე მაქსიმალური გადასახადი რომელიც შეიძლება გადასახდელი იყოს მომავალში აღწერილია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებში.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეძენის თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს: 1 ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით 2 ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილიდან მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. 3 აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში არ შეიტანება მისი ყოველდღიური მომსახურების [მიმდინარე საქსპლუტაციო] დანახარჯები, ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები, ძირითადად, მოიცავს შრომითი და სხვა რესურსების დანახარჯებს, ასევე მასში შეიძლება შედიოდეს მეტროფასიანი ნაწილების ღირებულება. ეს დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშში როგორც მიმდინარე რემონტის ხარჯი

ძირითადი საშუალებასთან დაკავშირებული შეძენის შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზირდება და ჩაირთება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად თუ ამ პუნქტთან დაკავშირებით მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება 1 გაყიდვის შემთხვევაში 2 როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული წეტ შემოსავალი ან ზარალი შეიტანება იმ პერიოდის არასაოპერაციო შედეგში, მოგებად ან ზარალად, როდესაც ხდება აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივები: შეძენილი არამატერიალური აქტივების თავდაპირველი შეფასება ხდება შეძენის ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომი ასახვა ხდება აკუმულირებული ამორტიზაციის და აკუმულირებული გაუფასურებით დაგროვილი ზარალის გამოკლებით

3.6 ძირითადი საშუალებების ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე. ძირითადი საშუალებების ცვეთის დანახარჯები აღირიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და ამორტიზაციის მეთოდების განხილვა და აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილების განხორციელება ხდება ყოველი ფინანსური წლისთვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას და ხელოვნების ნიმუშებს ცვეთა არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივების ცვეთა: არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განსაზღვრული და განუსაზღვრელი განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზირებადი თანხა წრფივი მეთოდით ნაწილდება მის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით:

ჯგუფი	ვადა	კომენტარი
შენობები	50 წელი	
საინვესტიციო შენობები	50 წელი	
მანქანა-დანადგარები	3-5 წელი	
ოფისის აღჭურვილობა	2-4 წელი	
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5 წელი	
სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი	
იჯარით აღებ ქონების კეთილ მ	3-5 წელი	
არამატერიალური აქტივები, პროგრამები, ლიცენზიები და სხვა	3-5 წელი	
არამატერიალური აქტივები საქმიანობის ლიცენზიები	10-30 წელი	

3.7 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ფლობილ შენობებს, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულების მოდელით ბასს 16-ის შესაბამისად.

3.8 იჯარა და იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება

იჯარა, როდესაც კომპანიას არ გადაეცემა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი არის საიმპერაციო იჯარა. საიმპერაციო იჯარის საფასური აღიარებულია, როგორც ხარჯი მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში

საიჯარო ქონების გაუმჯობესების ხარჯები კაპიტალიზირდება თუ მომავალში მოსალოდნელია შესაბამისი ეკონომიკური სარგებლის მიღება

თუ კომპანია გამოდის შეიკარედ ისეთი საიჯარო ურთიერთობაში, რომელშიც არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა შეიკარისგან კომპანიაზე, მთლიანი საიჯარო გადასახადი აისახება მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით

3.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში ანუ როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი ღირებულება ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულებას და სხვაობა, გაუფასურების ზარალი, აისახება შესაბამისი პერიოდის ხარჯებში

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. აქტივის გაუმჯობესების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

აქტივის გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში კომპენსირების თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და ზრდის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებას მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ ოდენობით, რომლითაც იმავე გადაფასებულ აქტივის გაუფასურების ზარალი ზარალში ადრე აღიარდა როგორც ხარჯი.

საგარანტიო ანარიცხების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ როცა არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა წარმოშობილი წარსული მოვალეობების შედეგად, საგარანტიო, რომ მოვალეობების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის საიმედო შეფასება. საგარანტიო ანარიცხების აღიარება და მოცულობის შეფასება ხდება მხოლოდ იმ პირობებში, რომლებზეც საგარანტიო ვალდებულება განსაზღვრულია კონტრაქტით და საგარანტიო ვალდებულების იმ ნაწილში რა ნაწილშიც ვალდებულება არ იფარება გაყიდული აქტივის მწარმოებლის მიერ. საგარანტიო ანარიცხების მოცულობას დადგენა ხდება მენეჯმენტის მიერ შესაბამისი პროდუქტის ან მსგავსი პროდუქტის საგარანტიო შემთხვევების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით. საგარანტიო ანარიცხების აღრიცხვა ხდება ინდივიდუალურად კონტრაქტების ჯრილში როდესაც ანარიცხების გამოყენება, შემცირება ხდება მხოლოდ შესაბამისი საკონტრაქტო ხარჯების დასაფარად. ყოველი წლის ბოლოს ხდება ანარიცხების გადახედვა და შეფასება რათა შეფასებებში გათვალისწინებული იყოს ახალი ინფორმაცია. რეალიზაციებთან დაკავშირებული ანარიცხების შექმნისას ხარჯი ტარდება ამონაგების თვითღირებულებაში. შესაბამისი რეალიზაციის აღიარების პერიოდში ინდივიდუალური ანარიცხის ბარათზე რიცხვული ნაშთი, ვალდებულების ვადის გასვლისას აღიარდება არასაოპერაციო შემოსავალში როგორც მიმდინარე პერიოდის მოგება.

პირობითი აქტივების ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარება არ ხდება, რადგან შესაძლოა ამან გამოიწვიოს იმ შემოსავლის აღიარება, რომლის მიღებაც შესაძლოა არასოდეს არ მოხდეს. მიუხედავად ამისა, როდესაც შემოსავლის მიღება, ფაქტობრივად, ეჭვს არ იწვევს, მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობითი აქტივს და მართებულია მისი აღიარება. პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებებში ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულებების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულება აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შემთხვევებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განითქმევილი სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში. ინფორმაცია, იმ პირობითი აქტივებზე და ვალდებულებებზე რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ მოხდება, აღწერილია ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებებში.

3.11 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. წესდების მიხედვით კომპანიის წესდებებში ხორციელდება დამფუძნებლების მიერ გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წარმოადგენს მიმდინარე და წინა პერიოდის დაგროვილ მოგებების და ზარალების გაშენ შემცირების გაცემული დივიდენდებით. დივიდენდის აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით ანუ იმ პერიოდში როდესაც მოხდება დამფუძნებლების მიერ დივიდენდის გამოცხადება შესაბამისი კრების ოქმის საფუძველზე.

3.12 შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- საწარმო მიიღვეს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს.
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეწყობის შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული ან ხელშეწყობის მოლოდინად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება;

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება :

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება :

სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება ანუ ხარჯების აღიარება ხდება მაშინვე, როგორც კი აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა დარიცხვის მეთოდით.

ანაზღაურებები :

სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ხელფასები, ბონუსები და სხვა სარგებელი თანამშრომლებზე აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში როდესაც მოხდა შესაბამისი ანაზღაურების გამომუშავება. თანამშრომელთა სარგებელი აღიარდება ვალდებულებად თუ ხარჯებად აღიარებული სარგებლის ანაზღაურება ხდება მომდევნო საანგარიშგებო წელს. ვალდებულებები თანამშრომლებთან მოიცავს გადასახდელს თანხას, საშემოსავლო და სოციალურ გადასახადებს.

მოგების გადასახადი :

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში მოგების გადასახადთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის 15% განაკვეთი იბეგრება განაწილებულ მოგებას. განაწილებულ მოგებად ითვლება და ახალი მოდელით იბეგრება 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში მიღებული მოგების განაწილება დამფუძნებელ ფიზიკურ პირებზე, არარეზიდენტ პირებზე და იმ პირებზე ვინც საქართველოს საგადასახადო კოდექსით ჯერ არ იბეგრებინა მოგების ახალი მოდელით. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება გარკვეული კრიტერიუმებით შეფასებული ხარჯების გაწევა. კომპანია 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ მიღებულ მოგებებზე პირობითი მოგების გადასახადის ხარჯის აღიარებას ფინანსური ანგარიშგებაში არ ახდენს. მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც მოხდება ასეთი დივიდენდის გამოცხადება.

4. ახსნა-განმარტებები

4.1 გაცემული სესხები

გაცემული სესხები მეკავშირე საწარმოებზე წარმოადგენს მშპ იუჯითი ჯგუფზე გაცემულ, არაუზრუნველყოფილ დოლარში დენომინირებულ მოკლევადიან საკრედიტო ხაზს. საპროცენტო სარგებელი ლარში შეადგენს 11%-ს. საპროცენტო სარგებლის დაფარვა ხორციელდება ყოველთვიურად.

შინაარსი	ვალუტა	2019 წელი	2018 წელი
გაცემული სესხები მოკავშირე საწარმოებზე	USD	-	-

4.2. მარაგები

ანგარიშგებაში წარმოდგენილი მარაგები 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები წარმოადგენს გასაყიდად გამიზნულ კომპიუტერულ მოწყობილობებს და კომპიუტერულ აქსესუარებს

2017 -2018 საანგარიშგებო პერიოდში გაუფასურებული და წუნდებული საქონელი გაბუი ევვები წლების მიხედვით ასეთია : 2019 წელი გაუფასურების ზარალი 0 ლარი. 2018 წელი გაუფასურების ზარალი 85 218 ლარი

4.3 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს ქვეშ გაერთიანებულია მოთხოვნები წარმოადგენს შემდეგ თანხებს:

შინაარსი	ვალუტა	2019 წელი	2018 წელი
ანგარიშვალდებულ პირებზე მოთხოვნები		2,523	-
საგადასახადო აქტივი		-	133,114

4.4 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

მოთხოვნები მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებიდან უმეტესწილად შედგება ძირითადი საქმიანობის შედეგად, იმ საქონლის და მომსახურების შესაძენად გადახდილი თანხებისაგან რომლებზეც არსებობს კონტრაქტი კლოენტებთან

4.5 ძირითადი საშუალებები

ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შინაარსი	საინვესტიციო ქონება: მიწის ნაკვეთი	საინვესტიციო ქონება : შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ოფისის ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	არამატერიალური აქტივები
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით :								
ისტორიული ღირებულება	-	-	58,274	35,345	7,435	33,038	6,906	6,049
დაგროვილი ცვეთა	-	-	(33,720)	(22,252)	(4,353)	(16,178)	(2,726)	(5,191)
ნეტო ნაშთი პერიოდის დასაწყისში	-	-	24,554	13,094	3,082	16,860	4,180	858
2019 წლის განმავლობაში :								
შეძენილი ძირითადი საშუალებები	-	-	33,181	8,477	5,084	-	1,835	-
რეალიზებული ძირითადი საშუალებები	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	-	-	-	-	-	33,038	-	-
ცვეთა	-	-	(14,440)	(6,633)	(838)	(2,354)	(1,945)	(510)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით :								
ისტორიული ღირებულება	-	-	91,455	43,822	12,519	-	8,742	6,049
დაგროვილი ცვეთა	-	-	(48,161)	(28,885)	(5,192)	-	(4,671)	(5,701)
ნეტო ნაშთი პერიოდის ბოლოს	-	-	43,295	14,938	7,327	-	4,071	348
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ამონაკის მოცულობა	-	-	-	-	-	-	-	-

არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი ქვეჯგუფებით:

შინაარსი	2019 წელი	2018 წელი
საქმიანობის ლიცენზიები		
პროგრამები, პროგრამული ლიცენზიები და სხვა არამატერიალური აქტივი	348	858

4.6. ფინანსური ინსტრუმენტები

4.6.1 ფული და ფულის ექვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე, ფულად სახსრებს გზაში და ფულად სახსრებს კომპანიის სალაროში. დეპოზიტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო დაწესებულებაში 1 წლიანი ვადიანობის და მოთხოვნამდე ვადიანობის პირობით ანაზღაურების ანგარიშებზე

შინაარსი	ვალუტა	2019 წელი	2018 წელი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	GEL	17,189	37,589
მოთხოვნამდე ანაზღაურების რეზიდენტ ბანკში	USD	-	-
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	USD	36,000	188
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	EUR	-	-
ეროვნული ვალუტა სალაროში	GEL	-	-

4.6.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები/ვალდებულებები

კომპანიის მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან შედგება საქონლის და მომსახურების მიწოდებით (მათ შორის მოკავშირე საწარმოებზე) მისაღები თანხებისაგან. მისაღები თანხები ძირითადად გამოხატულია აშშ დოლარში და დაფარვის ვადა უმეტესად 1 დან 3 თვემდეა. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება ფაქტური ღირებულებით. თუ ფულის ღირებულების ეფექტი არ არსებითაა შემდგომი შეფასებისას სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია პირვანდელი, ფაქტური ღირებულებით და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. . იქ სადაც არსებითაა ფულის ღირებულება აღრიცხვა ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულებით და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მხარე	2019 წელი	2018 წელი
სავაჭრო მოთხოვნები მოკავშირე საწარმოებთან	33,640	268,350
სავაჭრო მოთხოვნები არადაკავშირებულ მხარეებთან	82,374	856,174

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შედგება საქონლის და მომსახურების შეძენის შედეგად (მათ შორის მოკავშირე საწარმოებისაგან) გადასახდელი თანხებისაგან. გადასახდელი თანხები ძირითადად გამოხატულია აშშ დოლარში და დაფარვის ვადა უმეტესად 1 დან 3 თვემდეა. სავაჭრო ვალდებულებების აღიარდება ფაქტური ღირებულებით. თუ ფულის ღირებულების ეფექტი არ არსებითაა შემდგომი შეფასებისას სავაჭრო ვალდებულებები აღრიცხულია პირვანდელი, ფაქტური ღირებულებით. . იქ სადაც არსებითაა ფულის ღირებულება აღრიცხვა ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გამოიწვია	2019 წელი	2018 წელი
სავაჭრო ვალდებულებები მოკავშირე საწარმოებთან	(2,173)	(393,253)
სავაჭრო ვალდებულებები არადაკავშირებულ მხარეებთან	(39,399)	(47,982)
ვალდებულებები თანამშრომლებთან	(48,372)	(22,909)
სხვა	(17,862)	(16,081)

4.6.3 მიღებული სესხები

კომპანიის შპს იუჯითი ჯგუფთან გაფორმებული აქვს საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება რომლის ათვისებაც და დაფარვაც დამოკიდებულია მიმდინარე ფინანსურ საჭიროებაზე და . 2018-2019 წლების ბოლის მოქმედი საკრედიტო ხაზის მოცულობა და პირობები ასეთია:

შინაარსი	ვალუტა	2019 წელი	2018 წელი
შპს იუჯითი ჯგუფი 10%	USD	267,606	667,039

4.7 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია, ყოველიველივე აქტივობის ფარგლებში, განიცდის სხვადასხვა ტიპის რისკის ზემოქმედებას. რისკების მართვა არის ბიზნესის მართვის მნიშვნელოვანი და გაუყოფელი ნაწილი რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიის მომგებიანობა. ჯგუფი განსაზღვრავს რისკს როგორც პოტენციურ უარყოფით დევიაციას მოსალოდნელი ფინანსური შედეგისაგან. კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების შეფასების და მართვის პოლიტიკის განსაზღვრაზე. კომპანიის რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის დანერგვის მიზანია. იმ რისკების დროული იდენტიფიცირება და ანალიზი რომლის წინაშეც დგას ჯგუფი, რათა დროულად მოხდეს რისკების ლიმიტების განსაზღვრა და კონტროლის სისტემების შემუშავება. ბაზარზე და კომპანიის საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინების მიზნით პერიოდულად ხორციელდება რისკების მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა მათში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დადგენის მხრივ. ჯგუფს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით ძირითადად აქვს საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკები.

საკრედიტო რისკი :

საკრედიტო რისკი არის ფინანსური ზარალის მიღების რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ეხება იმ შემთხვევებს როდესაც კომპანიის დებიტორი ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მხარე არ ან ვერ დაფარავს მის კრედიტორულ დავალიანებას. საკრედიტო რისკები ეხება კომპანიის ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე; გაქვმულ სესხებს და დებიტორულ დავალიანებებს.

ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშებზე განთავსებით წარმოშობილი საკრედიტო რისკი

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებისას ითვალისწინებს საკრედიტო დაწესებულების საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებულ რეიტინგებს და არჩევანს აკეთებს მაღალი რეიტინგის ბანკებზე. კომპანიის მომსახურე ბანკებს რომლებშიც განთავსებული აქვს მნიშვნელოვანი მოცულობის ფულადი სახსრები მინიჭებული აქვთ შემდეგი რეიტინგები: Fitch Ratings: "BB-"; Moody's: "B1/Ba3"; S&P Global Rating: B.

დებიტორებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი :

საკრედიტო რისკის ზემოქმედება ძირითადად დამოკიდებულია ცალკეული დებიტორის/კლიენტის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე. მიუხედავად ინდივიდუალური რისკებისა კომპანია ასევე ითვალისწინებს იმ ინფლაციის და ქვეყნის რისკებსაც რომელსაც მიეკუთვნება კონკრეტული დებიტორი/კლიენტი. რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისად კრედიტუნარიანობის დადგენის მიზნით ახალი ხელშეკრულების/შეკვეთის გაფორმებამდე ხორციელდება კომპანიის ყველა კლიენტის ინდივიდუალური ანალიზი. კლიენტი რომელიც ვერ აკმაყოფილებს კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის სტანდარტებს კომპანიასთან ურთიერთობის მხოლოდ სრული საფასურო გადახდების შემთხვევაში.

საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის შედეგად კომპანიის უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების არ დაფარვით გამოწვეული არსებითი ზარალი. კლიენტების 70%-ზე მეტთან რამდენიმე წლის წარმატებული ურთიერთობის ისტორია აქვს. ინდივიდუალური ანალიზის შედეგად კომპანია ახდენს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით დანაკარგების ანარიცხების აღიარებას. 2017-2018 წლების ფინანსური ინსტრუმენტების ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე საკრედიტო რისკთან დაკავშირებული გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არ გამოვლინდა.

ლიკვიდურობის რისკი :

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა რომ კომპანია ვერ შეძლებს ვალდებულების დაფარვას გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით მუდმივად ახორციელებს მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დაგეგმვას და შესაბამის ანალიზს. იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ლიკვიდურობის რისკი ჯგუფი მუდმივად ახორციელებს ფულადი ნაკადების როგორც შემოსავლების ასევე გასაღების დეტალურ დაგეგმვას და კონტროლს კვირის , თვის და კვარტლის პერიოდში. ფულადი სახსრების დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებაზე ხორციელდება ანალიზი თუ რა ზეგავლენა ექნება თარიღების პერიოდში ახალ ვალდებულებებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასევე კომპანია ლიკვიდურობის რისკის სამართავად იყენებს დამფუძნებელი კომპანიის სესხს, გადახდის გარანტიებს და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს.

ფულადი მუხლების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით [დისკონტირების გარეშე]

	სულ თანხა 1-6 თვემდე	6 თვიდან წლამდე	წელზე მეტი
ფინანსური აქტივები			
ფულადი სახსრები	120,426	120,426	
სავაჭრო მოთხოვნები	82,374	82,374	-
სავაჭრო მოთხოვნები შეკავშირებულ მხარეებთან	33,640	33,640	
სესხი	0	0	-
საგადასახადო აქტივი	-	-	
სხვა	2,523	2,523	
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო ვალდებულებები	(39,399)	(39,399)	
სავაჭრო ვალდებულებები შეკავშირებულ მხარეებთან	(2,173)	(2,173)	
საგადასახადო ვალდებულებები	(139)	(139)	
სესხი	(767,549)		(767,549)
სხვა	(48,372)	(48,372)	

ლიკვიდურობის სხვაობა

(618,668) 148,881 (767,549) - -

სამაზრო რისკი :

სამაზრო რისკი არის რისკი იმისა რომ სამაზრო ფასების ცვლილების შედეგად შემცირდება ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება. სამაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი);

სავალუტო რისკი :

კომპანიის სავალუტო რისკი წარმოიშობა იმ გაყიდვებიდან, შესყიდვებიდან და სესხებიდან რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში. კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების უმეტესობა გამოხატულია აშშ დოლარში. კომპანია ერთიანი მდგომარეობით აანალიზებს და მართავს საკუთარ სავალუტო რისკებს და ღია სავალუტო პოზიციებს. კომპანია საჭიროების შემთხვევაში იყენებს წარმოებულ და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტებში ცვლილებებით განპირობებული რისკის სამართავად. ქვემოთ მოცემულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უცხოურ ვალუტაში წომინირებული ფულადი მუხლები რომლებთან დაკავშირებითაც წარმოიშობა სავალუტო რისკები :

თარიღი	ვალუტა	ფ. კურსი	ცვლილება	სიმ. კურსი +	ცვლილება	სიმ. კურსი-
2019 წლის 31 დეკემბრის კურსი	USD	2.8677	+10%	3.1545	-10%	2.5809
2018 წლის 31 დეკემბრის კურსი	EUR	3.2095	+10%	3.5305	-10%	2.8886

მუხლი	ვალუტა	თანხა	მცირეაღმართი თანხა ლარში	კურსის + 10% ცვლილებით გამოწვეული - მოგება ან - ზარალი	კურსის - 10% ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი
ფული	USD	36,000	103,237	10,324	(10,324)
ფული	EUR	-	-	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	USD	9,125	26,167.02	2,617	(2,617)
სავაჭრო მოთხოვნები	EUR	18,126	58,177	5,818	(5,818)
სესხი	USD	-	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	USD	1,299	3,725	373	(373)
სავაჭრო ვალდებულებები	EUR	(778)	(2,495)	(250)	250
სესხი	USD	267,606	767,414		
სულ	USD	314,030	900,544	90,054	(90,054)
სულ	EUR	17,349	55,681	5,568	(5,568)

საპროცენტო რისკი :

საპროცენტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სამაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების ზემოქმედებით. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებიდან (როგორცაა, მაგალითად სესხები და მოთხოვნები და გამოშვებული სავალო ინსტრუმენტები) და ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტიდან. რომელიც აღიარებული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (მაგალითად, ახალი სესხების მოზიდვის ზოგიერთი ვალდებულება). კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ამიტომ საპროცენტო რისკის ზემოქმედება არ არის არსებითი.

ფასების რისკი:

ფასების რისკი არის რისკი იმისა, რომ გასაყიდად გამოზნული შეძენილი საქონლის მომსახურების ფასები დაიცემა რის შედეგადაც კომპანია ვერ შეძლებს ისეთ ფასად გაყიდოს შეძენილი აქტივი , რომ უზრუნველყოს მოგების მიღება. გამომდინარე იქიდან, რომ ფასების რისკის სრულად ელიმინირება შეუძლებელია, კომპანია ცდილობს სხვადასხვა მეთოდებით მინიმუმზე დაიყვანოს ფასების რისკის შესაძლო წვავიერი შედეგი. კომპანია მნიშვნელოვნად მიიჩნევს ფასების რისკის ფაქტორს ამიტომ საქონელის შეძენამდე ხორციელდება ბაზრის მოკვლევა, ანალიზი და სხვა კონტროლის პროცედურები რათა შეირჩეს ის საქონელი რომელიც ადეკვატურად ლიკვიდურია და ატარებს მინიმალურ ფასების რისკს სამაზრო მოგების მარყის გათვალისწინებით.

კაპიტალის მართვა :

კომპანია მიზნად ისახავს კაპიტალის ისეთი მართვას, რომ უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ფუნქციონირება და ამავე დროულად უზრუნველყოფილი იყოს დამფუძნებლებისათვის ადეკვატური უკუგება. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს იმის შეფასებას თუ რამდენია კომპანიის ფექტურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის საჭიროება რათა შენარჩუნებულ იქნას დაფინანსების ფექტური სტრუქტურა და არ გაჩნდეს ნასესხებ სახსრებზე გრძელვადიანი დამოკიდებულება აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია მუდმივად ახდენს პოტენციური პროექტების ფულადი ნაკადების და მომგებიანობის ანალიზს რათა შეირჩეს კომპანიის მიერ მოთხოვნილი და პროექტის რისკიანობის შესაბამისი უკუგების განაკვეთის მქონე პროექტები. კომპანია გასანაწილებელი დივიდენდის მოცულობის განსაზღვრისას მუდმივად ითვალისწინებს დივიდენდის ეფექტს კაპიტალის სტრუქტურაზე და საჭიროების შემთხვევაში ახდენს დივიდენდის მოცულობის კორექტირებას რათა შენარჩუნებულ იქნას კაპიტალის ეფექტური სტრუქტურა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მთლიანი კაპიტალი შეადგენს : -318199 ლარს აქედან საწესდებო კაპიტალი 80000 ლარი არამაკონტრელებელი წილი 0 ლარი. კომპანიის წილი კაპიტალი -398190 ლარი

4.8 ამონაგები			
შინაარსი	2019 წელი		2018 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	4,815,515		8,975,376
მ.შ. შეკვეთზე საწარმოებიდან	191,563		533,729
მ.შ.გაყიდული საქონლის უკან დაბრუნდება	-		-
შემოსავალი სერვისის რეალიზაციიდან	841,493		789,836
მ.შ. შეკვეთზე საწარმოებიდან	45,247		54,298

4.9 ამონაგების თვითღირებულება			
შინაარსი	2019 წელი		2018 წელი
დანახარჯების საქონლის რეალიზაციაზე სულ :	(4,668,723)		(8,366,650)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(4,668,723)		(8,366,650)
ტრანსპორტირების ხარჯები	-		-
საგარანტო ანარიცხების ხარჯი/კორექტირება	-		-
შრომის ანაზღაურება	-		-
სხვა მიწოდების ხარჯები	-		-
დანახარჯების სერვისი რეალიზაციაზე სულ :	(754,401)		(684,773)
თანამშრომელთა ანაზღაურება	(63,906)		(79,643)
ხარჯები კონტრაქტორებზე	(618,826)		(358,129)
სერვისზე გახარჯული მასალები	(38,978)		(226,338)
საგარანტო ანარიცხების ხარჯი/კორექტირება	-		-
სატრანსპორტო ხარჯები	(14,396)		(3,266)
სხვა ხარჯები	(18,295)		(17,398)

4.10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
შინაარსი	2019 წელი		2018 წელი
ხელფასები და ბონუსები	(236,526)		(250,964)
ცვთა და ამორტიზაცია	(26,721)		(30,654)
მივლინება	(8,782)		(23,158)
ოჯარა	(38,127)		(1,017)
კომუნალურები	(7,392)		-
კომუნიკაციის ხარჯები	(9,960)		(12,292)
პროფესიული მომსახურება	(40,754)		(43,411)
სხვა	(14,908)		(26,692)

4.11 იჯარა

შპს ენსილოს იჯარის ფარგლებში ნაქირავები აქვს საოფისე და სასაწყობო ფართები. საიჯარო ხარჯები წრფივი მეთოდით აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდში ხარჯებად სრული შემოსავლების ანგარიშში "საიჯარო ქირის" მუხლით. კომპანია არცერთი საიჯარო ხელშეკრულება არ არის შეუქცევადი პირობების მქონე იჯარა. კომპანიის საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაფორმებული აქვს შემდეგი ხელშეკრულებები:

შპს ენსილოს- საოფისე ფართის იჯარა მდებარე თბილისი მინდელის #3. ხელშეკრულება ძალაშია 12/14/2021 მდე. ყოველთვიური საიჯარო გადასახდელი შეადგენს 23 869 ლარს დღგ-ს გარეშე

4.12 სხვა ადმინისტრაციული ხარჯები			
შინაარსი	2019 წელი		2018 წელი
მივლინების ხარჯები	8,782		23,158
ბანკის მომსახურების ხარჯები	10,088		55,843
საკონსულტაციო ხარჯები	40,754		43,411
კომუნალური გადასახადები	7,392		-
საკომუნიკაციო ხარჯები	9,960		12,292
ქონების დაზღვევა	1,279		2,718
მიმდისარე რემონტი	-		50
სატრანსპორტო ხარჯები	5,368		13,416
სამეურნეო ხარჯები	8,260		10,507
დაცვის მომსახურება	-		-

4.13 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24 სტანდარტი მოითხოვს დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების, ოპერაციებისა და დაუფარავი ნაშთების, მათ შორის ვალდებულებების განმარტებას სათაო საწარმოს, ინვესტირებულ საწარმოზე ერთობლივი კონტროლის უფლების, ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ინვესტიორების მიერ ფასს 10-ისა - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ და ბასს 27-ის - „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ - შესაბამისად წარდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია :

	2019	2018
	დამფუძნებელი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	დამფუძნებელი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები
აქტივები :		
საეაჭრო მოთხოვნები	33,640	268,350
გაცემული სესხი	0	
მისაღები პროცენტი	-	
ვალდებულებები :		
საეაჭრო ვალდებულებები	(2,173)	(393,253)
მიღებული სესხები	(767,549)	(1,785,397)
გადასახდელი პროცენტები	(17,862)	(16,081)
კაპიტალი :		
მიღებული დივიდენდი	-	
გამოცხადებული დივიდენდი	-	
შემოსავლები და ხარჯები		
შემოსავალი პროდუქტის რეალიზაციიდან	191,563	533,729
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	45,247	
ადმინისტრაციული ხარჯები	(38,110)	(32,707)
საიჯარო ქირა	(38,127)	-
საპროცენტო შემოსავალი		5,658
საპროცენტო ხარჯი	(114,181)	(78,587)

5. ანგარიშგების შედგენის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც უნდა გამოიწვევოთ ფინანსურ ანგარიშგებაში